საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
დადგენილება №727

სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის
ფორმირებისა და მობილობის
ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის 4.1 და 7.3 პუნქტები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”4.1 ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (მათ შორის სტატუსშეჩერებული) უფლებამოსილია სტუ-ს ფარგლებში შეიცვალოს სპეციალობა.“

”7.3 სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს 5.3 პუნქტით მითითებულ ვადაში უფლება აქვს, მორიგი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე, განცხადებით მიმართოს რექტორს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე (გარდა სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 5.14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა); ასეთ პირს სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს მორიგი სემესტრის დასაწყისიდან. გარდა ამისა, თუ პირს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით მივლინებასთან დაკავშირებით (გაცვლითი პროგრამების ფარგლებში), სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაბრუნების შემთხვევაში მისთვის სტატუსის აღდგენა და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი განცხადების წარმოდგენისთანავე.“

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე